

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

გიორგი ღუდუმიძე

საქართველოში მზის, ქარისა და ჩამონადენზე მომუშავე
ჰიდროელექტროსადგურებში, ელექტროენერგიის დამაგროვებლების გამოყენების
ეფექტიანობის შეფასება და დანერგვის პერსპექტივა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა: „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“
შიფრი: 0713

თბილისი
2024 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ენერგეტიკის ფაკულტეტი
ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი დ. ჯაფარიძე

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2024 წლის „-----“ „-----“ „-----“ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგის სხდომაზე, კორპუსი VIII,
სხდომათა დარბაზი.

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
პროფესორი

გ. გიგინეიშვილი

წაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დიდი ტემპით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიის წარმოებაში განახლებადი წყაროების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ფართოდ დანერგვა.

დამაგროვებელი სისტემების დანერგვით მაღლდება არა მხოლოდ ეფექტიანობა, არამედ საშუალება იქმნება ელექტრულ სისტემებში ძაბვისა და სიხშირის რეგულირება, დატვირთვებისა და მოთხოვნის მომენტალურად დაბალანსება. დღესდღეობით ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა მთავარი წინაპირობაა, რომ მსოფლიომ შეძლოს მის წინაშე მდგარი ელექტროსისტემის მდგრადობის შენარჩუნებისთვის წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად. საქართველოში, სადაც ელექტროენერგიის წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამინდის ცვალებადობაზე, სეზონურობასა და საბაზისო ელექტროენერგიის წარმოების დაბალი წილის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განახლებად ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში და მთლიანად ელექტროსისტემაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა. ამ მიმართულებით წინა პლანზე იწევს მზისა და ქარის ენერგეტიკის განვითარება, ამ დარგში ელექტროენერგიის დამაგროვებლების საყოველთაოდ დანერგვის უზრუნველყოფა.

ელექტროენერგიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ელექტორდამაგროვებელი სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მზისა და ქარის სადგურების მშენებლობა. საზოგადოების მხრივ დიდი წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება მაღალი ტემპით წყლის რესურსების ათვისება და მსხვილი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამის გათვალისწინებით წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰესების, მზისა და ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დამაგროვებელი სისტემების

დანერგვით შესაძლებელი ხდება ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი მოცულობის შენახვა და მისი საშუალებით ოპერატიული რეზერვის შექმნა.

საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების არამდგრადობა, სარეზერვო სიმძლავრის არარსებობა და დამოკიდებულება სხვა ქვეყნიდან შემოტანილ ელექტროენერგიაზე. ბუნერბრივი რესურსების არასრულყოფილად ათვისება, არამდგრადობა, დამაგროვებელი სისტემების შექმნის მიმართულებით შესაბამისი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით და არსებული პოზიტიური განწყობების გათვალისწინებით საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ტექნოლოგიური შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებით და დამაგროველი სისტემების დანერგვით ისეთი ენერგეტიკული სისტემის მოდელის შექმნა, ცენტრით საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებასა და დამატებითი რეზიუმების შექმნას, არამედ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოთხოვნებზე რეაგირებას, და ამავდროულად იფუნქციონირებს როგორც ფასეულობის შექმნის სრულფასოვანი მიმწოდებელი, საწარმოო შეთავაზებებით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის იმ მეზობელი ქვეყნებიდან, რომელთა არა აქვთ უშუალო გასასვლელი შავ ზღვაზე.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანი გახდა პროცესების ინტეგრაციის, დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის უზრუნველმყოფელი დამაგროვებელი სისტემების ტექნოლოგიების შესწავლა, რომელთა დახმარებითაც კომპანიები ქმნიან, აუმჯობესებენ და ავრცელებენ თავიანთ პროდუქციას. მწარმოებლები ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს თავიანთ გენერაციის ობიექტებში და შესაძლებლობა ხდება გამომუშავებული ელექტროენერგია სისტემას მიაწოდონ დამაგროვებლების გავლით, რომელიც არის გაცილებით მდგრადი, ყველაზე სწრაფად შეუძლია რეაგირება, ხოლო არა საჭირო დროს გამომშავებული ელექტროენერგიის დაგროვება.

კვლევის საბოლოო მიზნად დავისახეთ დამაგროვებელი სისტემების დანერგვა საქართველოს მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში, ეკონომეტრიკული მოდელის შემუშავებითა და

კომპიუტერული პროგრამა ექსელის დახმარებით განსაზღვრულია ელექტროენერგიის გამაგროვებელი სისტემების საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დანერგვის პერსპექტივები.

ჩატარებული კვლევები. ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყანაში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელია საწყისი ინფორმაციისა და ამ სადგურებში ელექტორენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვისთვის ინვესტიციების მოცულობების გათვალისწინება. ეფექტიანობის ანგარიშის ალგორითმითა და კომპიუტერული პროგრამა ექსელის მეშვეობით დაანგარიშებულია თითოეულ ელექტროსადგურებში დამაგროვებლების ეფექტიანობა. შესრულებულია დამაგროვებლებისა და მათ გარეშე ეფექტიანობის შედარებით იანალიზი და ნაჩვენებია დამაგროვებლების დანერგვით მაღალი ეფექტიანობა. საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია მითითებულ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმი, რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის მაჩვენებლები. ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზით დადგენილია ეფექტიანობის რეალური მაჩვენებლები.

გამომდინარე აქედან, კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმზიდველობის გათვალისწინებით უახლეს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, საქართველოში შესაძლებელია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემე მასიურად დანერგვა, რაც გამოიწვევს ქვეყნის სტატუსის მნიშვნელოვან ამაღლებას, ენერგეტიკულ სტაბილურობასა და ეკონომიკურ სიძლიერის ზრდას, ქვეყნის სოციალური მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და სხვა თანმდევ სიკეთებს.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს -

საქართველოს, მზის ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგუერების ელექტროენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა, ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა და მათი დანერგვით როგორც გამომუშავებული ელექტროენერგიის წილის ზრდა, ასევე განახლებადი ენერგიის რესურსების სრული ათვისება და ელექტროსისტემის მდგრადობის ამაღლება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ჩატარებული პლევების საფუძველზე:

- შესწავლილია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ორგანიზებისა და მართვის საკითხები; გაანალიზებულია ორგანიზების მოდელები;
- შეფასებულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების უპირატესობები ელექტროენერგიის გამომუშავების, მიწოდების, ეფექტურობისა და სისტემის მდგრადობის გაუმჯობესებისთვის, პროცესების გამარტივებისა და აჩქარების თვალსაზრისით;
- გამოკვლეულია მსოფლიო გამოცდილება დამაგროვებელი სისტემების დანერგვის კუთხით და მათ მაგალითზე დადგენილია შესაძლებლობები;
- თანამედროვე უახლეს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემის მოდელი საქართველოსთვის, რომელიც ქმნის შესაძლებლობას სრულად იქნას ათვისებული განახლებადი ენერგიის წყაროებით მიღებული ენერგეტიკული პოტენციალი;
- შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ინფრასტრუქტურა, პოტენციალი, გაუმჯობესებული საერთაშორისო რეიტინგები ეკონომიკური მიმართულებით;
- შეფასდა საქართველოში ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის მოსალოდნელი წარმოების პოტენციალი, თითოეული ასაშენებელი სადგურისათვის შეირჩა დასანერგი ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ტიპები, მათი დანერგვისთვის აუცილებელი ინვესტიციების მოცულობები. შეფასებულია მშენებლობის ღიღებულებები დამაგროვებლებით და დამაგროვებლების გარეშე.

□ **შემუშავებულია** **მითითებულ** **ელექტროსადგურებში**
ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის
შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი და ამ მოდელის მიხედვით
ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმი, რომლის მიხედვითაც
დაანგარიშებულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე
ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების
დანერგვის ეფექტიანობის მაჩვენებლები. ანგარიშით მიღებული შედეგების
ანალიზით დადგენილია ეფექტიანობის რეალური მაჩვენებლები.

□ **კვლევის მეთოდები** - ნაშრომში გამოყენებულია კვლევის
თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები, მოძიებულია ელექტროენერგიის
დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ეფექტიანობის მეცნიერული კვლევების
შედეგები, **შემუშავებულია** **მითითებულ** **ელექტროსადგურებში**
ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის
შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი და ამ მოდელის მიხედვით
ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმი, რომლის მიხედვითაც
დაანგარიშებულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე
ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების
დანერგვის ეფექტიანობის მაჩვენებლები. დამაგროვებელი სისტემების
დასაწევრად ოპტიმალური ტიპების შერჩევის მიზნით სიღრმისეულად არის
შესწავლილი ამ დამაგროვებლების წარმოებები უკანასკნელი 10 წლის
განმავლობაში და მათი გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება. უკანასკნელი
10 წლის ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისა და ეფექტიანობის
შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელით გათვალისწინებულ
ფაქტორებთან შედარებით დადგენილია ანგარიშისთვის აუცილებელი საწყისი
ინფორმაციის ნუსხა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში
წარმოდგენილი დამაგროვებელი სისტემების დანერგვა და კონკურენტული
უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობის დასაბუთება, საქართველოს, როგორც
განახლებადი და ჰიდრო პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, დისერტაციაში

დამუშავებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, მათი გადაწყვეტის გზები დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოში მოღვაწე ქარველ და უცხოელ მეცნიერებს, ელექტროენერგეტიკაში თანამედროვე ელექტროენერგიის სისტემების დანერგვასა და ამის საფუძველზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდის საქმეში.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობის, ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელების და ტექნიკურ-ეკონომიკური პერსპექტივის გათვალისწინებით სასარგებლო და გამოყენებადი იქნება ენერგეტიკის სფეროში თანამედროვე მიდგომების, არსებული ტენდენციების ცოდნით დაინტერესებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

სამუშაოს აპრობაცია - სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისადმი დაყენებული მოხოვნების შესაბამისად დისერტაციის თემაზე ჩატარებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე კოლოკვიუმები და წინასწარი დაცვა. ასევე კვლევის შედეგებნი მოხსენებული იქნა ერთ საერთაშორისო კონფერანციაზე.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სტატია. მათ შორის, 1 სტატია გამოქვეყნდა საზღვარგარეთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 109 ნაბეჭდ გვერდს 23 ცხრილისა და 12 ნახაზის ჩათვლით და შედგება შესავალის, 4 თავის, 4 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დიდი ტემპით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიის წარმოებაში განახლებადი წყაროების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ფართოდ დანერგვა. ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვთ განვითარებად ქვეყნებს, როგორებიცაა: აშშ, ჩინეთი, გერმანია, იაპონია, ავსტრალიასა და ნორვეგიაში.

საქართველოში, რომელიც ხასიათდება განახლებადი ენერგიის წყაროების დიდი მოცულობების არსებობით, ელექტროენერგიის წარმოების ზრდა ამ წყაროების გამოყენებით დაბალი ტემპით ვითარდება. ამ მხრივ აღსაღნიშნავია, რომ ელექტროენერგიის წარმოების, ისეთი ეფექტიანი ალტერნატიული წყაროებით, როგორიც მზე და ქარია პრაქტიკულად არ არის განვითარებული, რაც ქმნის იმის წინა პირობას, რომ საქართველოსთვის ამ პრობლემის გადაწყვეტა პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს, რისთვისაც საქართველოში მაღალი ტემპით უნდა განვითარდეს ჰიდრორესურსების გამოყენებით ელექტროენერგიის წარმოება, მზისა და ქარის ენერგიით ელექტროსადგურების მშენებლობა. წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე, მზისა და ქარის ელექტროსადგურებში იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიის წარმოება ხასიათდება არასტაბილურობით, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრულად ათვისებისთვის აუცილებელია, რომ ამ სფეროში დაინერგოს ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემები.

დასმული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან ახალ მიდგომას წარმოადგენს ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ამ სფეროში დანერგვა. დამაგროვებელი სისტემების დანერგვით მაღლდება არა მხოლოდ ეფექტიანობა, არამედ საშუალება იქმნება ელექტრულ სისტემებში ძაბვისა და სიხშირის რეგულირება, დატვირთვებისა და მოთხოვნის მომენტალურად დაბალანსება. ამჟამად მსოფლიოს მეცნიერთა ძალისხმევა მიმართულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების სრულყოფილი

მეთოდიკის შემუშავებაზე. ელექტროენერგიის შემნახველი სისტემა არის ელექტროსადგურის ის ტიპი, რომელიც ელექტროენერგიის შესანახად იყენებს ბატარეების ჯგუფს. ბატარეის (აკუმულატორის) მეხსიერება ქსელში ელექტროენერგიის ყველაზე სწრაფი რეაგირების წყაროა და გამოიყენება ქსელის მუშაობის სტაბილურობისთვის. მისი სრული ნომინალური სიმძავრე ძირითადად შექმნილია ერთიდან რამდენიმე საათამდე. დამაგროვებელი სისტემები გამოიყენება მოკლევადიანი პიკური მოხმარების დასაბალანსებლად და დამხმარე მომსახურებისთვის, ოპერატიული რეზერვის, სიხშირის კონტროლის უზრუნველსაყოფად და ელექტროენერგიის მიწოდების წყვეტების შესამცირებლად. მსოფლიო გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ელექტროენერგიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ელექტორდამაგროვებელი სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მზისა და ქარის სადგურების მშენებლობა. საზოგადოების მხრივ დიდი წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება მაღალი ტემპით წყლის რესურსების ათვისება და მსხვილი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამის გათვალისწინებით წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰესების, მზისა და ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დამაგროვებელი სისტემების დანერგვით შესაძლებელი ხდება ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი მოცულობის შენახვა და მისი საშუალებით ოპერატიული რეზერვის შექმნა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება 4 თავისაგან, რომელიც დაყოფილია 4 ქვეთავად. პირველ თავში, ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებლების გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და ამოცანის დასმა, განხილულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შესაძლებლობები და მიღებული შედეგები გენერაციის ობიექტებში.

დამაგროვებლების სისტემების განვითარებამ მნიშვნელოვანი ზრდა და ინოვაცია განიცადა ბოლო წლებში, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციის, ქსელის სტაბილურობის გაძლიერებისა და ენერგიის მართვის ოპტიმიზაციის საჭიროებით. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ელექტროენერგიის

რეზერვის შექმნაში, სისტემისთვის მის მიწოდებასა და ქსელში სიხშირის დაბალანსებაში. დამაგროვებელი სისტემა არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის სტაბილურ მიწოდებას, ამცირებს ელექტროენერგიის იმპორტს პიკური დატვირთვების დროს, ქსელში შეუძლია სიხშირის დაბალანსება, ასევე ავსებს განახლებადი ენერგიის (ქარისა და მზის) ნაკლოვანებებს.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დადებითი მხარეები, ტექნოლოგიური შესაძლებლობები, შემოთავაზებულია, ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების ფართო სპექტრი: სისტემაში სიხშირის რეგულირება, სისტემაში ყველაზე სწრაფად შესვლა, დატვირთვების დაბალანსება, სარეზერვო სიმძლავრის შექმნა, ელექტროენერგიის განახლებადი წყაროების მხარდაჭერა და მათი ქსელში ინტეგრირება, დატვირთვების მართვა, მდგრადი ენერგეტიკული და ეკონომიკული ზრდა. აღნიშნული კომპლექსური მეთოდი საშუალებას იძლევა, გათვალისწინებულ იქნას შიდა და გარე ფაქტორების ფართო სპექტრი.

ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შესაძლებლობები, რომლითაც შეიძლება გაიზარდოს გამომუშავებული ელექტროენერგიის წილი ჰიდროელექტროსადგურებთან, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის, შენახვის სისტემის სიმძლავრეზე და ეფექტურობაზე, ჰიდროელექტროსადგურების მახასიათებლებზე, მოთხოვნის შაბლონებზე და მარეგულირებელ პირობებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, განახლებადი წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის წილის ზრდა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, პოტენციურად გაორმაგდეს ან თუნდაც გააორმაგოს ჰიდროელექტროსადგურების ეფექტური სიმძლავრე. თუმცა, ზრდის სპეციფიკური მოცულობა შეიძლება შეიცვალოს თითოეული პროექტის კონკრეტულ გარემოებებზე და მიმდებარე ენერგეტიკულ ეკოსისტემაზე.

ელექტროენერგიის შენახვისა და ბატარიის სისტემები ჯერ კიდევ გადარდამავალ სტადიაშია და შესაძლებელია ბევრი ცვლილება მოხდეს მომდევნო წლების განმავლობში. დღეს-დღეობით მისი სიცოცხლის უნარიანობა 20 წლამდე არის მიღწეული.

ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ და აკონტროლებენ ღირებულების შექმნის პროცესს, თავის გარშემო ქმნიან მიწოდების ჯაჭვს, რასაც თავისი განვითარების ეტაპები გააჩნია. არსებობის ყველა ეტაპზე მიწოდების ჯაჭვები უნდა უზრუნველყოფდნენ კლიენტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას საწარმოო დანახარჯების შემცირების ფონზე. სწორედ აღნიშნული ამოცანების ეფექტურად გადაჭრის აუცილებლობამ განსაზღვრა მიწოდების ჯაჭვების ევოლუცია. ნაშრომში განხილულია მიწოდების ჯაჭვების განვითარების 4 სტადია: რეაქტიული მიწოდების ჯაჭვები, ნახევრად ფუნქციონალური ჯაჭვები, ინტეგრირებული მიწოდების ჯაჭვები და გაფართოებული საწარმო, მოცემულია თითოეული მათგანის მახასიათებლები.

ამავე თავში განხილულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურების მოდელების განვითარების მსოფლიო გამოცდილებები, მათი როგორც მშენებლობის ასევე გამომიუშავებული ელექტროენერგიის თვითღილებულებების ფასების ცვალებადობის ტენდენციები. კომპლექსურად არის განხილული დამაგროვებელი ელექტროსადგურის დანერგვის აუცილებლობა და გაუმჯობერსების ამოცანა მზის, ქარისა წყლის ჩამონადენზე მომუშავე ელექტროსადგურებში.

მეორე თავში, ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეკონომეტრიკული მოდელი, ჩამოყალიბებულია დამაგროვებლის დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდიკა. დამაგროვებლების დანერგვიდ საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ვარიანტის შესარჩევად გამოყენებულია ყველაზე უნივერსალური და ყველაზე მეტად გავრცელებული წმინდა დისკონტრიები შემოსავლის მაქსიმუმის კრიტერიუმი. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ხარჯებს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, არამედ ეფექტს მიღებული დამაგროვებელი სადგურების დანერგვის შედეგად. იგი იძლევა საშუალებას ობიექტურად შეფასდეს ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემის დანერგვისთვის გაწეული ხარჯები და მისგან მიღებული ეფექტი. შემოშავებულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემის დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ზოგადი ფორმულა და აღნიშნული ფორმულა

ფორმულირებულია ინდივიდუალურად მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ზოგადად ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{m=1}^t \text{წღმ} = \sum_{m=1}^t (P_{mi} - 3m_i) \cdot A_{mi} > 0 \rightarrow \max \quad (1)$$

სადაც,

P_m – შედეგები, m ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

$3m$ – დანახარჯები, m ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

m - ბიჯის ნომერი, წელიწადი;

α_m - დისკონტირების კოეფიციენტი, რომელიც ტოლი = $\frac{1}{(1+E_{mi})}$;

E_{mi} - დისკონტის ნორმა;

K_m -ინვესტიციის მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

აღნიშნული წმინდა დისკონტირებული შემოსავლის განზოგადებული ფორმულა ქარის, მზისა და ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებისთვის იქნება განსახვავებული ფორმის.

ქარის ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{m=1}^t \text{წღმ} = \frac{\sum_{m=1}^t (W_{jm} + \Delta_j W) * T_j + CK_j m_i j + Zk! m_j + DR! m_j - C! m_j - H! m_j - BK! m_j - D! m_j - J! mt) + F_j}{(1+E_m)t_j} \quad (2)$$

სადაც,

C_m -საექსპლუატაციო ხარჯები, ათასი ლარი წელიწადში;

H_m - გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

BK_m - სესხის გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

D_m - დივიდენდების მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

t - არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_{im} - ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა m ბიჯზე (მლნ.კვტ.სთ);

T - ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

T_{rij}- სარეზერვო ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi}- ქარის ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების სამორტიზაციო ნარიცხები, მოცემულია mi ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

K_i - ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაში განხორციელებული საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

CK_m- მოზიდული საკუთარი კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

ZK_m- მოზიდული ნასესხები კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

DR_m- შემოსავლები არაკომერციული საქმიანობიდან, ათასი ლარი წელიწადში;

F- გადამცემი ხაზის მშენებლობის ღიღებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

J_{mi}- ინვესტიციების შემოსავლიანობა, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I_{mi} = (PHK_i - BHK_i) * ND + (SHMH_i - BH + JOK_i) * HD^i \quad (3)$$

სადაც:

PHK_i- ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე რეგულირების გრძელვადიანიპერიოდის დაწყებამდე i წლისთვის (ლარი);

BHK_i-რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე ინვესტირებული კაპიტალის დაბრუნება დაგროვებული რეგულირების დაწყებიდან i წლამდე (ლარი) ;

ND- ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის ნორმა დადგენილი მარეგულირებელი ორგანოს მიერ გრძელვადიანი რეგულირების i წლისთვის ;

HDⁱ- რეგულირების პერიოდში ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმა;

SHMH_i-დანახარჯების ჯამი, გათვალისწინებული რეგულირების გრძელვადიანი პერიოდისთვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამაში, დაწყებული 1-0 წლიდან დამთავრებული 1-1 წლისთვის;

მზის ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{m=1}^t \beta \varphi \theta \vartheta = \frac{\sum_{m=1}^t (Wi\theta \cdot T\theta + CKm\theta + Zkm + DRm\theta - Cm\theta - Hm\theta - BKm\theta - Dm\theta - Jm\theta) + F\theta}{(1+E\theta)t\theta} \quad (4)$$

სადაც,

C_m - საექსპლუატაციო ხარჯები, ათასი ლარი წელიწადში;

H_m - გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

BK_m - სესხის გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

D_m - დივიდენდების მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

t - არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_{im} - მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა m ბიჯზე (მლნ.კვტ.სთ);

T - ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

T_{rj} - სარეზერვო ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi} - მზის ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების სამორტიზაციო ნარიცხები, მოცემულია mi ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

K_i - მზის ელექტროსადგურის მშენებლობაში განხორციელებული საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

F - გადამცემი ხაზის მშენებლობის ღიღებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

CK_m - მოზიდული საკუთარი კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

ZK_m - მოზიდული ნასესხები კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

DR_m - შემოსავლები არაკომერციული საქმიანობიდან, ათასი ლარი წელიწადში;

J_{mi} - ინვესტიციების შემოსავლიანობა.

ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდრო ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{n=1}^T \beta \varphi \delta = \frac{\sum_{n=1}^T (Ni\beta x Wi\beta(T\vartheta_j\theta - T\vartheta_j\theta) + AjNj\beta - (NjKj\beta I\sigma\delta + NSt\beta) + f\beta)}{(1+E_n)t\beta} > 0 \rightarrow \max \quad (5)$$

სადაც:

m -არის ბიჯის ნომერი;

t - არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_i - ელექტროენერგიის დამაგროვებლებში შენახული ელექტროენერგიის მოცულობა, (კვტსთ);

T_{rj} - სარეზერვო ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

T_{je}- გენერაციის ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi}- i დამაგროვებლის საამორტიზაციო ხარჯების სიდიდე, ათასი ლარი/წელიწადში;

K_i ელექტორენერგიის დამაგროვებლის დანერგვისთვის აუცილებელი საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

I_{ni}- ინვესტიციების შემოსავლიანობის კოეფიციენტი;

S_i- დამაგროვებლის საექსპლუატაციო ხარჯები ლარი/წელიწადში;

E_{ni}- დისკონტირების კოეფიციენტი;

F- გადამცემი ხაზის მშენებლობის ღიღებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

J_{mi}- ინვესტიციების შემოსავლიანობა,

მესამე თავში, საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დასანერგად ელექტროენერგიის დამაგროვებლების ტიპების შერჩევა, განხილულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ტიპები და ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეულია საუკეთესო ვარიანტი საქართველოსთვის. მსოფლიოში სხვადასხვა სახის ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე და დაბალი სიმძლავრეების გათვალისწინებით ყველაზე ეფექტური ჩვენის აზრით შეიძლება იყოს ელექტროენერგიის ელექტროქიმიური დამაგროვებელი. მათ განეკუთვნებიან: ტყვია-მჟავის, ნიკელ-კადნიუმის, ნიკელ მეტალო ჰიბრიდული, ნატრიუმ-გოგირდოვანი, ლითიუმ-იონური, გადინებადი რედოკს აკუმულიტორები. განვითარებულ ქვეყნებში მიღწეული შედეგების, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სეზონურობისა და პოტენციალის გათვალისწინებით შერჩეულია ელექტროენერგიის დამგროვებლების სხვადასხვა ტიპი. იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნული ტიპებიდან საუკეთესოს შერჩევა ჩატარებულია მათი შედარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ტექნიკური

მაჩვენებლები მოცემულია და შეტანილია 1 ცხრილში. ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები ასახულია 2 ცხრილში.

ცხრილი 1. ქიმიური ელექტროენერგიის დამაგროვებლების ტექნიკური მაჩვენებლები

მოწყობილო ბების ტიპები	ხვედრითი ელექტროტენად ობა, ვტ*სთ/კგ	ხვედრითი სიმძლავრე, ვტ/კგ	თვითგანმუქ ტვის, %	ციკლურობა	მრგ, %	ექსპლუატა ციის ვადა
ტყვია-მჟავა	20-30	75-300	5	<1000	<85	15
ნიკელ- კადიუმი	35-50	150-300	20	<2000	<85	20
ნიკელი- ლითონის ჰიბრიდი	50-120	200-1200	30	<1000	<75	10
ნატრიუმ- გოგირდის	150-240	150-230	15	>1000	<75	10
ლითიუმ- იონის	150-250	500-2000	10	>10 000	<90	20

ცხრილი 2. ქიმიური ელექტროენერგიის დამაგროვებლების ეკონომიკური მაჩვენებლები

პარამეტრი	განზო მილე ბა	ნიკელ- ნატრიუმ- გოგირდის ბატარეა		ლითიუმ- იონის ბატარეა		ტყვია- მჟავა		ნატრიუმ- ლითონის ჰიბრიდი		ნიკელ- კადიუმი	
		2020	203 0	2020	2030	2020	203 0	2020	2030	2020	2030
ექსპლუატა ციაში შესასვლელ ი ხარჯები	შენახვის ბლოკი	\$/33ტ სთ	661	465	165	99	260	220	700	482	265
	სასისტემო ბალანსი	\$/კვტ სთ	100	95	38	27	100	95	100	95	150
	ადჭურვილობა	\$/კვტ	133	127	63	54	176	167	115	110	173
	კონტროლი და კომუნიკაცია	\$/კვტ	7	6	2	1	4	3	5	4	4
	სისტემასთან ინტეგრაცია	\$/კვტ სთ	100	95	44	31	62	54	59	53	55
	შესყიდვები, ინჟინერია და მშენებლობა	\$/კვტ სთ	64	61	53	43	54	50	53	48	51
	პროექტის განვითარება	\$/კვტ სთ	102	97	63	52	84	81	82	77	81
	ქსელში ინტეგრაცია	\$/კვტ	48	45	20	16	27	26	26	24	25
	მთლიანი ღირებულება (მშენებლობა და ექსპლუატაცია ში შესვლა)	\$/კვტ	3626	267 4	1541	1081	2194	185 4	3710	2674	2202
											1730

საქართველოს მზის, ქარისა და წყლის მოდინება მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დასანერგად ყველაზე მიზანშეწონილად ჩათვლილია ლითიუმ-იონური ტიპის ბატარიების მასიურად გამოყენება.

მეოთხე თავში, მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებთან დამაგროვებელი სადგურების დანერგვის ეფექტიანობის შეფასება, შესწავლილია ელექტროენერგიის დამაგროვებლების გამოყენების სისტემების ეფექტიანობის შეფასებაის მეთოდები, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია ქვეყანაში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებით მომუშავე ელექტროსადგურების ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი. მოძიებულია ეფექტიანობის შეფასებისთვის საჭირო საწყისი სტატისტიკური ინფორმაცია. ანგარიშის შედეგების მიხედვით შეფასებულია მითითებულ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ეფექტიანობა.

4.1 ქვეთავში შეფასებულია საქართველოს მზის ენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების პროგნოზული ეფექტიანობა. ცხრილ 3-ში მოცემულია საქართველოს მზის სადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების პოტენციალი. ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოებაში მზის ენერგიის გამოყენების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის მიზნით სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული მზის ენერგეტიკის განვითარევაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. საქართველოში მზის პოტენციალის განვითარებაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების შესაძლებლობები. მოძიებულ იქნა საქართველოში ენერგიტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დაგეგმილი მზის ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, საჭირო ინვეტისიციების მოცულობა, საოპერაციო ხარჯები, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე დადგენილია 1 კვტ.სთ წარმოების ღონისძიებები, საქართველოში მთავრობის მიერ დადგენილი ტარიფი და სხვა აუცილებელი სტატისტიკური მაჩვენებლები ანგარიშის ჩასატარებლად. ამ ქვეთავში

ექსტრაპოლაციის საშალებით დაანგარიშებულია როგორც მზის სადგურების მშენებლობის საპროგნოზო ღილებულებები , ასევე ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების საპროგნოზო ღილებულებას. საპროგნოზო მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ მზის სადგურების მშენებლობის ეფექტიანობა საქართველოში.

ცხრილი.3. მზის სადგურებში დამაგროვებელი სისტემების საჭირო სიმძლავერე, საპროგნოზო პერიოდი და საპროგნოზო სამშენებლო ღირებულება

პროექტის დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგტ) და წლიური გენერაცია (გვტ.სთ)	მზის სადგურის დადმული სიმძლავრის გათვალისწინებით ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების საჭირო სიმძლავრე	ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების საპროგნოზო ღირებულება მითითებულ წელს დოლარი (1 კვტ)	ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	მზისა ელექტროსადგურისა და ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
უდაბნო	5	1.5	324	0.486	3.673
ალგეთი	50 / 67	18	324	5.832	37.702
ახალციხე-1	50 / 65	18	312	5.616	32.291
ახალციხე-2	50 / 65	18	312	5.616	32.291
გარდაბანი-1	50 / 68	18	324	5.832	37.702
გარდაბანი-2	50 / 68	18	324	5.832	37.702
გლდანი	50 / 67	18	312	5.616	32.291
კასპი	50 / 66	18	312	5.616	32.291
მარნეული	50 / 67	18	300	5.4	29.8
სააკაძე	50 / 67	18	300	5.4	29.8
ქსანი	50 / 66	18	324	5.832	37.702
გარეჯი	15 / 20	5	312	1.56	9.5625
ჯამი	520 / 694			58.638	352.8075

საქართველოში მზის პოტენციალის გათვალისწინებით რეგიონებად, მოხდა მათი საპროგნოზო მშენებლობის პერიოდის განსაზღვრა, არჩეულ იქნა მშენებლობის პერიოდისათვის საპროგნოზოდ გათვლილი 1 კვტ სადგურის მშენებლობის ღირებულება. შესწავლილია მითითებული ელექტროსადგურის ექსპლუატაციის რეჟიმები, დადგენილია ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების მოცულობა, შეფასებულია მის ოპერატიული რეზერვში გამოყენების პერსპექტივა, სეზონურობის თვისებურება. აღნიშნულ ქვეთავში დადგენილია, რომ მზის ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება, რაც

გამორიცხავს სიხშირულ არასტაბილურობას, საშუალება იქნება სარეზერვო ელექტროენერგიის წყაროების შექმნისა და პიკურ დატვირთვების დროს იმპორტირებული ელექტროენერგიის შემცირების, ყველაზე სწრაფი და საიმედო ელექტროენერგიის გამომუშავების. რაც ყველაზე მნიშვნელობანია შესაძლებელი ხდება მზის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილის ზრდა დაახლოებით 15-20%-ის ფარგლებში. ფორმულა 4-ის მიხედვით შესრულებულია მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების პროგნოზული მაჩვენებლები. ანგარიშის შედეგები მცემულია ცხრილ -4 ში.

ცხრილი 4. მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის პროგნოზული მაჩვენებლები

პერიოდი	ალგეთ- ის მზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ახალციხე-1- ის მზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	გადაბანი-1-ის მზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2025	-4.11848261		-4.521917608
2026	-1.99448261	-3.171827537	-2.103541332
2027	-1.193265246	-1.906076668	-0.799246809
2028	-0.142808688	-0.821123686	-0.191338588
2029	0.149907327	-0.146630937	0.322795838
2030	0.689424215	0.234572707	0.841706672
2031	1.668591505	0.82467226	1.486864835
2032		1.221864948	
პერიოდი	სააკაძის მზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	გლდანი-ისმზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	მარნეულ-ის მზის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2026		-3.603541332	
2027	-3.415386117	-1.899246809	-4.415386117
2028	-1.661686451	-0.391338588	-2.661686451
2029	-0.333417182	0.322795838	-0.933417182
2030	0.475162884	0.941706672	0.175162884
2031	0.990955621	1.386864835	0.790955621
2032	1.690955621	1.946864835	1.390955621

ცხრილ 4-ში ასახული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მზის ენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა არის მაღალეფექტიანი.

4.2 ქვეთავში შეფასებულია საქართველოს ქარის ენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების პროგნოზული ეფექტიანობა. ცხრილ 5-ში მოცემულია საქართველოს ქარის სადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების პოტენციალი. ქარის ენერგეტიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია. ზოგ ქვეყანაში ქარის ენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან გამომუშავებაში თითქმის 50% შეადგენს. საქართველოსაც ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების გეგმის მიხედვით ქარის ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების მოცულობა შეფასებულია 4 მილიარდი კვტ. სთ-ით. ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოებაში ქარის ენერგიის გამოყენების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის მიზნით სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული ქარის ენერგეტიკის განვითარევაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. მოძიებულ იქნა საქართველოში ენერგიტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ქარის ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, საჭირო ინვეტსიციების მოცულობა, საოპერაციო ხარჯები, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე დადგენილია 1 კვტ.სთ წარმოების ღონისძიებები, საქართველოში მთავრობის მიერ დადგენილი ტარიფი და სხვა აუცილებელი სტატისტიკური მაჩვენებლები ანგარიშის ჩასატარებლად. ამ ქვეთავში ექსტრაპოლაციის საშალებით დაანგარიშებულია როგორც ქარის სადგურების მშენებლობის საპროგნოზო ღიღებულებები, ასევე ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების საპროგნოზო ღიღებულებას. საქართველოში ქარის პოტენციალის გათვალისწინებით რეგიონებად, მსოფლიო გამცდილების მაგალითზე შერჩეულ იქნა ქარის სადგურის სიმძლავრის შესაბამისი ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემები და გამოთვლილია მისი საპროგნოზო ღიღებულება.

**ცხრილი. 5. საქართველოს ქარის პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო
დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური
ღირებულება ქარის სადგურის მშენებლობასთან ერთად**

პროექტის დასახელება	სიმძლავრე(მგვტ) /წლიური საპროგნოზო გამომუშავება (მლნ.კვტ.სთ)	გენერაციის ობიექტან განთავსებული ელექტროენერგიის დამგროვებელი სისტემის დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემის საპროგნოზო ღირებულება მითითებულ წელს დოლარი (1 კვტ)	დამაგროვებელი ელექტრო სისტემის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	ქარის ელექტროსადგურისა და ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
ფოთი	50 / 110	17	324	5.508	62.028
ჭოროხი	50 / 120	17	324	5.508	62.028
ქუთაისი	100 / 200	33	312	10.296	122.136
მთა-საბუეთი I	150 / 450	50	312	15.6	183.36
მთა-საბუეთი II	600 / 2000	200	324	64.8	743.04
გორი-კასპი	200 / 500	67	324	21.708	247.788
ფარავანი	200 / 500	67	324	21.708	247.788
სამგორი	50 / 130	17	312	5.304	61.224
რუსთავი	50 / 150	17	312	5.304	61.224
ჯამი	1450 / 4160				1790.616

ქარის ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება და მათი საშუალებით სისტემაში შესვლა თავის მხრივ გამორიცხავს სიხშირის არასტაბილურობას, საშუალებას იძლევა სარეზერვო ელექტროენერგიის წყაროების შექმნისა და პიკურ დატვირთვების დროს იმპორტირებული ელექტროენერგიის შემცირების, ყველაზე სწრაფი და საიმედო ელექტროენერგიის გამომუშავების. რაც ყველაზე მნიშვნელობანია შესაძლებელი ხდება ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილის ზრდა დაახლოებით 15-20%-ის ფარგლებში. ფორმულა 2-ის მიხედვით შესრულებულია ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების პროგნოზული მაჩვენებლები. ანგარიშის შედეგები მცემულია ცხრილ -6 ში.

ცხრილ 6-ში მოცემული ეკონომიკური მაჩვენებლებით მტკიცდება, რომ ქარის ენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა აუცილებელი და მომგებიანი.

ცხრილი 6. წლშის ცვალებადობის დინამიკა, ქარის ელექტროენერგიის სადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა

პერიოდი	ფოთ- ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ჭორობ- ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ქუთაის- ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2025	-10.12	-9.92	
2026	-6.99	-5.99	-12.10
2027	-2.19	-2.09	-7.80
2028	-0.74	-0.54	-2.19
2029	1.15	1.50	0.52
2030	2.69	2.79	1.84
2031	3.67	3.57	3.49
2032			4.69
პერიოდი	ფარავან-ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	სამგორ- ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	რუსთავ- ის ქარის ელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2025	-11.92		
2026	-7.99	-6.99	-6.69
2027	-3.09	-3.09	-2.79
2028	-1.54	-0.34	-0.04
2029	1.90	1.80	2.10
2030	3.79	2.99	3.29
2031	6.57	3.77	4.07
2032		5.07	5.37

4.3 ქვეთავში შეფასებულია საქართველოს წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების პროგნოზული ეფექტიანობა. ცხრილ 7-ში მოცემულია საქართველოს 20 წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოების პოტენციალი. წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ფართოდ გახდა გამოყენებადი ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების განთავსება, რაც ამცირებს ელექტროენერგიის გადაცემის დანაკარგებს და ხარჯებს. დასმული ამოცანის გადაწყვეტის განსაკუთრებულად აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ჰიდროენერგიის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია. ზოგიერთ ქვეყანაში ჰიდროენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან გამომუშავებაში თითქმის 90-95% შეადგენს. საქართველოშიც

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა 80%-ია და სამომავლოდ გათვალისწინებულია ჰიდროენერგეტიკის განვითარება. ამჟამად წყლის ჩამოდინებაზე მომუშაველი ელექტროსადგურების რაოდენობა 60-ს აღემატება. ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოებაში წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდრო ენერგიის გამოყენების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის მიზნით სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროენერგეტიკის განვითარევაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. ამის საფუძველზე შემუშავებულია ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი. საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების მიხედვით შერჩეულ იქნა წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე 20 ჰიდროელექტროსადგური რომელთა ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2024-2027 წლებში. ჰიდროლოგიური შეფასებით მოცემულია წყლის ხარჯის ათვისება ჰიდროელექტროსადგურებში, მასზე დაყრდნობით დადგინდა თუ კონკრეტული სადგურები როგორ იყენებენ წყლის ხარჯს. რამდენიმე სადგურის მაგალითზე დადგინდა, რომ უხვ წყლიანობის პერიოდში სხვადასხვა მიზეზების გათვალისწინებით ვერ ხდება საპროგნოზო ელექტროენერგიის გამომუშავება და სხვაობა დაახლოებით 8-10%-მდე მერყეობს. აღნიშნული შეიძლება გავრცელდეს არაუხვწლყიანობის პერდიოში სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მსოფლიო გამცდილების მაგალითზე შერჩეულ იქნა ჰიდროელექტროსადგურის სიმბლავრის შესაბამისი დამაგროვებელი ელექტროსადგური და გამოყებულია მისი საპროგნოზო ღილებულება. შესწავლილია მითითებული ელექტროსადგურის ექსპლუატაციის რეჟიმები, დადგენილია ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების მოცულობა, შეფასებულია მის ოპერატიული რეზერვში გამოყენების პერსპექტივა, სეზონურობის თვისებურება.

წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის გამოყენებულია ეკონომეტრიკული მოდელი. როდესაც ჰიდრო ელექტროსადგურებში ხდება დამაგროვებლის დანერგვა, რაც განაპირობებს

გამომუშავებული ელექტროენერგიის ზრდასა და გამომუშავებულ
ელექტროენერგიის საჭიროებისამებრ გამოიყენებას ოპერატიულ რეზერვად.

**ცხრილი 7. საქართველოს ჰიდრო პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო
დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური
ღირებულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად**

დასახელება	დადგმული სიმძლავრე / გამომუშავებული საპროგნოზო (მლნ.კვტ.სთ)	გენერაციის ობიექტან განთავსებული დამაფგროვებელი სისტემების საპროგნოზო ღირებულება მითითებულ წელს დოლარი (1 კვტ)	ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტრო სადგურისა და დამაგროვებელი ელექტროსადგურ ების მშენებლობის ღირებულება ერთად (მლნ აშშ დოლარი)
ჯონულა 2	32 / 129	43	335	14.4	50.44
გუბაზეული ჰესი	6 / 27	9	335	3.0	9.77
ბახვი ჰესი 2	36 / 123	41	335	13.7	54.27
სორგიეთი 1	15 / 68	23	335	7.7	24.60
სორგიეთი 2	16 / 73	24	335	8.0	26.06
ონი 1	122 / 441	147	324	47.6	181.11
ონი 2	84 / 339	113	324	36.6	128.52
ნატანები 3	9 / 64	21	324	6.8	16.65
ბაისუბანი	5 / 31	10	324	3.2	8.71
ახალსოფელი ჰესი	5 / 27	9	324	2.9	8.39
ძეგვი ჰესი	16 / 82	27	324	8.7	26.25
კამარა ჰესი	13 / 64	21	324	6.8	21.03
ბახვი ჰესი 1	12 / 50	17	324	5.5	18.64
ალპანა ჰესი	55 / 253	84	324	27.2	87.39
ხანი ჰესი	6 / 29	10	324	3.2	9.80
ხრამი ჰესი 7	3 / 19	6	324	1.9	5.23
ტეხურის კასკადი	112 / 650	217	324	70.3	192.85
ნატანები 2	10 / 70	23	312	7.2	17.81
მტკვარი კასკადი 4	78 / 615	205	312	64.0	146.88
ნატანები 1	6 / 40	13	300	3.9	10.10
ჯამი	641 / 3194				1044.51

საშალება ეძლევა ჰესს აითვისოს წყლის სრული რაოდენობა, რა რაოდენობის ათვისებასაც შეძლებს გენერატორი. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება და

მათი საშუალებით სისტემაში შესვლა თავის მხრივ გამორიცხავს სიხშირის არასტაბილურობას, საშუალებას იძლევა სარეზერვო ელექტროენერგიის წყაროების შექმნისა და პიკურ დატვირთვების დროს იმპორტირებული ელექტროენერგიის შემცირების, ყველაზე სწრაფი და საიმედო ელექტროენერგიის გამომუშავების. რაც ყველაზე მნიშვნელობანია შესაძლებელი ხდება წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილის ზრდა დაახლოებით 8-10%-ის ფარგლებში.

ფორმულა 5-ის მიხედვით შესრულებულია წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების პროგნოზული მაჩვენებლები. ანგარიშის შედეგები მცემულია ცხრილ -8 ში.

**ცხრილი 8. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, მოდინებაზე მომუშავე
ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის
ეფექტიანობა**

პერიოდი	ნატანები 3 ჰიდროელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ბაისუბნის ჰიდროელექტროსადგური ს წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ახალსოფლის ჰიდროელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2025	-6.9945	-6.4945	-5.9945
2026	-4.1933	-3.6933	-3.1933
2027	-1.7428	-1.2428	-0.7428
2028	-0.8428	-0.3428	-0.3572
2029	-0.1428	0.3572	0.6572
2030	0.8686	1.3686	1.0686
2031	1.5686	2.0686	2.0686
2032	2.2686	2.7686	2.9686
პერიოდი	მეგვის ჰიდროელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	კამარა ჰიდროელექტროსადგური ს წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)	ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი წლების მიხედვით (მლნ ლარი)
2025	-5.9592	-4.9961	-4.7818
2026	-3.9972	-2.2095	-3.4238
2027	-1.5466	-1.2851	-1.4993
2028	-0.7714	-0.7136	-0.7136

2029	-0.5495	-0.2067	0.2067
2030	1.8947	0.5490	0.7633
2031	2.3843	0.8347	1.4061
2032	2.8843	1.2219	1.9061

ცხრილ 8-ში ასახული მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვბელი სისტემების დანერგვა ეფექტიანია და ამ პროექტის განხორციელება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს ელექტროენერგეტიკას.

დასკვნები და რეკომენდაციები

- მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების, მეცნიერული ანალიზისა და საქართველოში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა დასმული პრობლემის აქტუალობა და დაისახა მისი გადაწყვეტის გზები;
- მზის, ქარისა და წყლის მოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ეფექტიანობის მეცნიერული კვლევების შედეგების, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია მითითებულ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი და ამ მოდელის მიხედვით ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმი, რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზით დადგენილია ეფექტიანობის რეალური მაჩვენებლები;

- საქართველოში მზის, ქარისა და წყლის მოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დასანეგრად ოპტიმალური ტიპების შერჩევის მიზნით სიღრმისეულად არის შესწავლილი ამ დამაგროვებლების წარმოების უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და მათი გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება. დადგენილია თითოეული დამაგროვებლის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, პროგნოზულად გაანალიზებულია ამ მაჩვენებლების ცვალებადობის დინამიკა. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შერჩეულია ქვეყანაში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ასაშენებელ ელექტროსადგურებზე ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემები;
- მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურების უკანასკნელი 10 წლის ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელით გათვალისწინებულ ფაქტორების შედარებითი ანალიზით დადგენილია ანგარიშისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაციის ნუსხა. ამ ინფორმაციის მოსაძიებლად ჩატარდა დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაო. შედეგად დაზუსტდა საინფორმაციო პარამეტრების სიდიდეები;
- შეფასდა საქართველოში ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის მოსალოდნელი წარმოების პოტენციალი, თითოეული ასაშენებელი სადგურისათვის შეირჩა დასანერგი ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების ტიპები, მათი დანერგვისთვის აუცილებელი ინვესტიციების მოცულობები. შეფასებულია

მშენებლობის ღიღებულებები დამაგროვებლებით და დამაგროვებლების გარეშე;

- ქვეყანაში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაციისა და ამ სადგურებში ელექტორენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვისთვის ინვესტიციების მოცულობების გათვალისწინება. ეფექტიანობის ანგარიშის ალგორითმითა და კომპიუტერული პროგრამა ექსელის მეშვეობით დაანგარიშებულია თითოეულ ელექტროსადგურში ელექტროენერგიის დამაგროვებლის გამოყენების ეფექტიანობა. შესრულებულია დამაგროვებლებისა და მათ გარეშე ეფექტიანობის შედარებით იანალიზი და ნაჩვენებია დამაგროვებლების დანერგვით მაღალი ეფექტიანობა;
- ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოში ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შედეგად რეგულირებადი ელექტროენეგიის წარმოება გაიზრდება მილიარდ კვტ.სთ-ზე მეტად წელიწადში. მთლიანად აღნიშნული სადგურები ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გამოიმუშავებენ 9 მილიარდ 300 მილიონ კვტ.სთ-ს. ელექტროსისტემას მიეცემა საშუალება ოპერატიული რეზიუმე გაზარდოს 3 მილიარდი კვტ.სთ-ით;
- კვლევის შედეგების ეკონომიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შედეგად მზის ელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის წარმოება მომგებიანია 4 წლის ექსპლუატაციის შემდეგ, ანალოგიური შედეგია ქარის ელექტროსადგურებში, წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში კი ელექტროენერგიის წარმოება მომგებიანია 5 წლის შემდეგ პერიოდში;

- ჩატარებული კვლევების ანალიზიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოში ყველა ახალ მშენებარე ელექტროსადგურში გარდა მარეგულირებელი ელექტროსადგურებისა უნდა დაინერგოს ელექტროენერგიის დამაგროვებლების თანამედროვე სისტემები;
- კომპლექსური კვლევითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს საქართველოს ელექტროსისტემაში ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების შესაძლებლობების გამოსავლენად. კვლევების შედეგების მიხედვით შემუშავებული უნდა იქნეს ელექტროენერგიის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა პირველი რიგის ამოცანად უნდა ჩაითვალოს ენერგეტიკის დარგის ხელმძღვანელებისთვის;

გამოქვეყნებული ნაშრომების სია:

1. ჯაფარიძე დ., ღუდუმიძე გ. საქართველოს მცირე სიმძლავრის პიდროელექტროსადგურებისთვის დამაგროვებლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და დანერგვა ელექტროსისტემაში. III საერთაშორისო კონფერენციის - „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“ - შრომები, „ენერგია“, 2021, №2(98), გვ. 189-195.
2. ღუდუმიძე გ. ჯაფარიძე დ. ქარის ენერგეტიკაში ელექტროენერგიის დამაგროვებლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელის შემუშავება და აპრობაცია საქართველოში. სტუ-ის შრომები, 2022, №2(524), გვ. 66-80.
3. Ghudumidze G., Japaridze D. Assessing the Efficiency of Solar Energy Development in Georgia and Ways to Increase It. Proceedings of International Conference on Global Practice of Multidisciplinary Scientific Studies Dedicated to The 100th Anniversary of „Georgian Technical University“, Tbilisi, July 2022, pp. 291-300.
4. ღუდუმიძე გ. ქარის ელექტროენერგიის გამოყენების შეფასება და მისი ამაღლების გზები. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2023, №1(741), გვ. 34-46.

Abstract

The dissertation is devoted to the evaluation of the effectiveness of the introduction of electricity storage stations. Due to the relevance of solving the problem at the level of modern requirements, the practice of using electricity accumulators in energy has been studied in depth. Energy efficiency assessment methods are analyzed. According to the results of scientific studies, it is established that electricity accumulators should be introduced, considering that electricity accumulators have not been implemented in Georgia's electric power industry at all. Based on the results of the in-depth study of the experience of the world practice and taking into account the complex specifics of the country's electric power, the optimal econometric model for the evaluation of the effectiveness of the introduction of accumulators and the algorithm of its effectiveness report have been developed. The compatibility of electricity produced in solar, wind and run-off power plants with the electrical system and the problems associated with this process are investigated. The conducted studies show that fully utilizing the potential of solar and wind energy of Georgia is connected with a number of difficulties. First of all, this process is accompanied by changes in the frequency of electricity depending on the weather and time and its impact on the stability of the electrical system, which seriously reduces the efficiency of the development of solar and wind energy. In addition to this, the consumption is increasing significantly. In order to solve these difficulties, one of the determining factors for increasing the efficiency of the development of solar, wind and hydroelectric power plants is considered to be the widespread introduction of modern electricity collection systems in this field. In order to substantiate the implementation of electricity storage systems in solar, wind and water-based power plants, a unified methodology of optimal models of the efficiency of the implementation of electricity storage systems in the energy sector has been formed. This method has been tested in solar, wind and hydroelectric power plants. As a result of the evaluation of the technical-economic effectiveness of the universal implementation of accumulators in the conditions of full utilization of the potential in this type of stations, it is determined that the introduction of accumulators in solar, wind and water runoff power stations in Georgia is effective and the prospects of introduction of accumulator systems are substantiated.

Based on the analysis of the results of the research, it is substantiated that the study-solution of the given task with the proposed methodology ensures the balancing of electricity supply and demand in Kvetana, the development of the construction of power plants powered by renewable sources, frequency balancing, creating more comfort for consumers, increasing electrical stability, and creating a source of electricity reserve.

Dissertation thesis consists of chapter IV.

In chapter I, the world practice of using electric energy storage systems in electric power generation is analyzed. The problems in the energy sector of Georgia in this direction are shown. Taking into account the world's best experience of solving this task, the need to introduce electricity storage systems in solar, wind and solar power plants in Georgia is substantiated.

In Chapter II, the optimal econometric model for the evaluation of the effectiveness of the introduction of electricity collection systems in solar, wind and hydroelectric power

plants is given, and the algorithm of the efficiency evaluation report for each type of power plant is developed.

In Chapter III, based on the research in Sigismund, the methodology of electricity collection systems in Georgian solar, wind and hydroelectric power plants is established. Based on the comparative technical-economic analysis based on the world experience in this direction, the type of electricity collectors with the best indicators has been selected.

In Chapter IV, the approbation of the introduction of electricity storage systems in solar, wind and hydropower plants is given. For which the necessary initial information for the report is sought, the effectiveness of the introduction of electricity collection systems in each type of power plant is evaluated through the algorithm of the efficiency report and the computer program Excel. The energy potential of the power plants to be built, provided for in the development plan of the Georgian energy system, is determined, and the overall efficiency is summarized comprehensively, taking into account the technical and economic indicators.

According to the results of the research on the topic of the dissertation, conclusions and recommendations have been formulated, the implementation of which in practice will bring great benefits to the electric power industry of Georgia and the country's economy.